

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		12/31/2019	31/12/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	13,548,493	4,097,977
ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	5	177,986	177,986
		13,726,479	4,275,963
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	2,234,413	108,819
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	3,204,922	1,398,855
მარაგები	8	5,435	3,935
		5,444,770	1,511,609
მთლიანი აქტივები		19,171,249	5,787,572
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		500	500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,759,883	-200,803
		2,760,383	(200,303)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	9,423,658	3,566,467
		9,423,658	3,566,467
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	5,499,630	1,108,936
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,428,808	1,282,425
გადასახდელი პროცენტი		58,771	30,047
		6,987,208	2,421,408
მთლიანი ვალდებულებები		16,410,866	5,987,875
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		19,171,249	5,787,572

დირექტორი
ირაკლი ცანკაშვილი

20 სექტემბერი 2020 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

**კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

		2019	2018
ამონაგები	11	17,155,621	5,555,102
სხვა შემოსავლები		110,004	20,012
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(1,367,971)	(737,437)
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		(8,620,880)	(2,754,187)
სატრანსპორტო საშუალებების რემონტი		(80,036)	(47,967)
საწვავის ხარჯები		(112,740)	(138,466)
მივლინების ხარჯები		(568,928)	(93,813)
ცვეთა და ამორტიზაცია		(652,827)	(392,730)
იჯარის ხარჯები		(67,640)	(15,440)
სხვა ხარჯები	12	(588,930)	(296,641)
კურსთა შორის სხვაობა წმინდა		(684,640)	(32,163)
საპროცენტო ხარჯები		(1,558,617)	(631,385)
მოგება დაბეგვრამდე		2,962,418	434,886
მოგების გადასახადი		(1,732)	-
წმინდა მოგება		2,960,686	434,886

დირექტორი
ირაკლი ცანკაშვილი

20 სექტემბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	500	(635,688)	(635,188)
მოგების ზრდა	-	434,885	434,885
2018 წლის 31 დეკემბერი	500	(200,803)	(200,303)
მოგების ზრდა	-	2,960,686	434,885
2019 წლის 31 დეკემბერი	500	2,759,883	2,760,383

დირექტორი
ირაკლი ცანკაშვილი

20 სექტემბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		12/31/2019	31/12/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	13,548,493	4,097,977
ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	5	177,986	177,986
		13,726,479	4,275,963
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	2,234,413	108,819
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	3,204,922	1,398,855
მარაგები	8	5,435	3,935
		5,444,770	1,511,609
მთლიანი აქტივები		19,171,249	5,787,572
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		500	500
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,759,883	-200,803
		2,760,383	(200,303)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	9,423,658	3,566,467
		9,423,658	3,566,467
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8	5,499,630	1,108,936
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,428,808	1,282,425
გადასახდელი პროცენტი		58,771	30,047
		6,987,208	2,421,408
მთლიანი ვალდებულებები		16,410,866	5,987,875
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		19,171,249	5,787,572

დირექტორი
ირაკლი ცანკაშვილი

20 სექტემბერი 2020 წელი
თბილისი, საქართველო



6 - 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2019	2018
ამონაგები	11	17,155,621	5,555,102
სხვა შემოსავლები		110,004	20,012
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(1,367,971)	(737,437)
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		(8,620,880)	(2,754,187)
სატრანსპორტო საშუალებების რემონტი		(80,036)	(47,967)
საწვავის ხარჯები		(112,740)	(138,466)
მივლინების ხარჯები		(568,928)	(93,813)
ცვეთა და ამორტიზაცია		(652,827)	(392,730)
იჯარის ხარჯები		(67,640)	(15,440)
სხვა ხარჯები	12	(588,930)	(296,641)
კურსთა შორის სხვაობა წმინდა		(684,640)	(32,163)
საპროცენტო ხარჯები		(1,558,617)	(631,385)
მოგება დაბეგვრამდე		2,962,418	434,886
მოგების გადასახადი		(1,732)	-
წმინდა მოგება		2,960,686	434,886

დირექტორი
ირაკლი ცანკაშვილი



20 სექტემბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	500	(635,688)	(635,188)
მოგების ზრდა	-	434,885	434,885
2018 წლის 31 დეკემბერი	500	(200,803)	(200,303)
მოგების ზრდა	-	2,960,686	434,885
2019 წლის 31 დეკემბერი	500	2,759,883	2,760,383

დირექტორი
ირაკლი განკაშვილი

20 სექტემბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო



6 - 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“ (ს/კ 404891079) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2011 წლის 15 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქუჩა თუთის , N 13, ბინა NG2-3 . 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: ირაკლი ცანკაშვილი, რომელიც ასევე წარმოადგენს ჯგუფის გენერალურ დირექტორს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გადაზიდვების მომსახურების გაწევა, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

შპს „ლოჯისტიქს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

შპს „ელ ეს ჰევილიფტი“ – 100%

შპს „ლოჯისტიქს სოლუშენს აზერბაიჯანი“ – 100%

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2019	31/12/2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ინვესტიციები ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აღიარდება სხვა შემოსავალში.

თუ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს ნიშანი იმისა, რომ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია შეიძლება იყოს გაუფასურებული, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მისივე ანაზღაურებად ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებიდან ნაგებობები და სატრანსპორტო საშუალებები დატვირთულია სესხის უზრუნველყოფით.

ცვეთა

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ შეცვალა ცვეთის მეთოდი და შემცირებადი ნაშთის მეთოდიდან გადავიდა წრფივ მეთოდზე, რადგან მენეჯმენტის აზრით წრფივ მეთოდი სამომავლოდ უკეთ ასახავს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

მიწას აქვს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადა და შესაბამისად, მას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

შენობა-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხვავესი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

	საოფისე ფართი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ლიცენზია და საბუღალტრო პროგრამა	სულ
31 დეკემბერი 2018	704,123	107,659	3,658,739	66,397	4,317	4,541,235
შემოსვლა	4,325,641	97,228	11,371,740	381,004	18,214	16,193,828
გასვლა	(2,636,645)	-	(3,629,029)	(135,000)	-	(6,400,674)
31 დეკემბერი 2019	2,393,120	204,887	11,401,451	312,401	22,531	14,334,390
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2018	(39,992)	(44,601)	(340,028)	(17,031)	(1,607)	(443,259)
პერიოდის ცვეთა	(23,553)	(11,494)	(574,560)	(71,874)	-	(681,480)
გასვლა	-	-	338,842	-	-	338,842
31 დეკემბერი 2019	(63,545)	(56,095)	(575,746)	(88,905)	(1,607)	(785,897)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	664,131	63,058	3,318,711	49,366	2,710	4,097,976
31 დეკემბერი 2019	2,329,575	148,792	10,825,705	223,497	20,924	13,548,493

5. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

	31/12/2019	31/12/2018
თვითღირებულება	177,986	177,986
სულ	177,986	177,986

კომპანია ფლობს ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს LLC Kocaman Logistics Solutions-ის 50%-ს.

შპს „ლოჯისტიკს სოლუმენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31/12/2019	31/12/2018
ნაღდი ფული სალაროში	45,330	12,386
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	43,732	39,811
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	2,145,352	56,622
სულ	2,234,413	108,819

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო მოთხოვნები	772,688	485,643
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	20	88,749
გადახდილი ავანსები	464,012	83,942
საგადასახადო აქტივი	64,630	144,699
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	48,000	46,582
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	12,374
გადავადებული დღგ	1,452,922	536,867
გაცემული სესხი	402,650	
სულ	3,204,922	1,398,856

8. სესხები

	31/12/2019	31/12/2018
გრძელვადიანი		
საბანკო სესხი	2,325,585	521,876
	7,098,073	3,014,809
ფინანსური იჯარის ვალდებულება	9,423,658	3,536,685
მოკლევადიანი		
საკრედიტო ხაზი	-	57,563
სესხები დამფუძნებლისგან (მიმდინარე)	-	114,913
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი	2,293,017	108,696
ფინანსური იჯარის ვალდებულება (მოკლევადიანი)	3,206,613	915,109
	5,499,630	1,138,718
სულ სესხები	14,923,288	4,675,403

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

საბანკო სესხები მოიცავს სესხებს შემდეგი პირობებით:

გაცემის თარიღი	დაფარვის ვადა	გაცემული სესხის თანხა	სესხის განაკვეთი
08.07.2019	10.12.2022	296 000.00 USD	7.18%
31.01.2019	10.07.2027	185 000.00 USD	7%
09.03.2017	15.03.2027	255 000.00 USD	8%
29.06.2019	05.01.2021	881 000.00 EUR	6.5%

სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მიწით, შენობით და შვილობილის საკუთრებაში მყოფი სატრანსპორტო საშუალებით.

ფინანსური იჯარა

ფინანსური იჯარის მომავალი
საიჯარო გადასახდელები **2019**

1 წელზე ნაკლები	2,273,767
1-დან 5 წლამდე	5,925,900
5 წელზე მეტი	
ჯამი	8,199,666
ფინანსურ იჯარებზე მომავალი	
ფინანსური ხარჯი	2,105,019
ფინანსური იჯარის ვალდებულება	10,304,685

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები	1,411,764	1,233,322
საგადასახადო ვალდებულებები	1,645	-
მიღებული ავანსები	15,399	49,103
სულ	1,428,808	1,282,425

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

10. ფინანსური ინსტრუმენტები

<i>ფინანსური აქტივები</i>	31/12/2019	31/12/2018
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	5,439,335	1,507,674
სულ	5,439,335	1,507,674

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	31/12/2019	31/12/2018
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	16,410,866	5,987,875
სულ	16,410,866	5,987,875

11. ამონაგები

	2019	2018
შიდა გადაზიდვები	5,448,816	2,032,756
საერთაშორისო გადაზიდვები	11,706,805	3,522,345
სულ	17,155,621	5,555,101

12. სხვა ხარჯები

	2019	2018
კომუნალური ხარჯები	(12,480)	(38,140)
კომუნიკაციის ხარჯები	(146,444)	(21,000)
საკანცელარიო ხარჯები	(3,412)	(3,783)
კომპიუტერის ხარჯები	(10,302)	(5,551)
საგადასახადო ხარჯი	(71,621)	(72,679)
ბანკის საკომისიო	(13,484)	(11,206)
სხვა ხარჯები	(241,399)	(58,864)
ლიზინგის წინსწრების საკომისიო	-	(73,347)
საკონსულტაციო ხარჯები	(29,118)	(10,979)
დაცვის მომსახურება	(15,726)	-
ვადაგადაცილების ჯარიმა	(37,014)	-
ოფისის რემონტი	(7,929)	(1,092)
სულ	(588,930)	(296,641)

შპს „ლოჯისტიკს სოლუშენს“
(თანხები მოცემულია ლარში)

13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

იჯარა და მომსახურების გაწევა

	2019	2018
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი	24,000	335,198
სულ	24,000	335,198

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	31/12/2019	31/12/2018
დამფუძნებლის კონტროლ ქვეშ მყოფი	47,000	32,000
სულ	47,000	32,000

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2019	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	155,114	166,547
სულ	155,114	166,547

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

კონსოლიდირებული ანგარიშგების თარიღის შემდგომ, COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და ქვეყნის გარკვეულ მაჩვენებლებზე. მომავალზე გაუარესებულმა შეხედულებამ გამოიწვია სავალუტო ბაზრის არამდგრადობა რაც გამოიხატა ლარის მნიშვნელოვან გაუფასურებაში დოლართან და ევროსთან მიმართებაში. მიუხედავად არსებული გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი იღებს სხვადასხვა ზომებს ინდუსტრიაზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, თუმცა ხელმძღვანელობა წინასწარ ვერ ახდენს ამ ზომების შედეგების წინასწარ განსაზღვრას.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.